სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

28 ოქტომბერი 2026

GOV N ო-287

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

"დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მომსახურების ტარიფების დამტკიცების თაობაზე" სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 24 ივლისის №ო-131 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. "დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მომსახურების ტარიფების დამტკიცების თაობაზე" სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 24 ივლისის №ო-131 ბრძანებაში შეტანილი იქნას ცვლილება და ბრძანების დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერიდან 2 სამუშაო დღეში.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სააგენტოს სერვისების განვითარების სამსახურის უფროსის დემეტრე მაღრაძის 2026 წლის 5 ოქტომბრის N17401, 12 ოქტომბრის N17848 და 13 ოქტომბრის N17989 მოხსენებითი ბარათები.

ოთარ ედიშერაშვილი

თავმჯდომარე